შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N1

2019 წლის 4 თებერვლის №GSH040201 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი 6 თებერვალი 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო (შემდგომში ,,შემსყიდველი''), წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ ხმალაძის სახით და მეორეს მხრივ სსიპ „ფინანსთა სამინისტროს აკადემია“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ტარიელ ჭულუხაძის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და 2019 წლის 4 თებერვლის №GSH040201 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“-ს თანამშრომლისათვის (ლაშა გუნია) 6 საათიანი სამუშაო შეხვედრის ორგანიზება და ჩატარების (სასწვლო კურსის დასახელება “მოგების გადასახადის ადმინისტრირება ორგანიზაციებში” (CPV კოდი 80530000) მომსახურების შესყიდვა.
2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1.1 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“-ს თანამშრომლისათვის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტით განსაზღვრული 6 საათიანი სამუშაო შეხვედრის ჩატარების უზრუნველყოფა 2019 წლის 5 თებერვლიდან 2019 წლის 7 თებერვლის ჩათვლით პერიოდში, ქ. თბილისში გორგასლის ქუჩა N10 -ში განთავსებულ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის სასწავლო ცენტრში.
3. ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
კონტროლს განახორციელებს: სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“-ს მთავარი ბუღალტერი ლაშა გუნია.
4. ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
მომსახურების მიღებას აწარმოებს: სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“-ს მთავარი ბუღალტერი ლაშა გუნია.
5. 2019 წლის 4 თებერვლის №GSH040201 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების სხვა პუნქტები დარჩეს უცვლელი.
6. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოსა და სსიპ „ფინანსთა სამინისტროს აკადემია“ შორის 2019 წლის 4 თებერვლის №GSH040201 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან მთლიანობაში. იგი შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

შემსყიდველი:
სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16
საიდ. კოდი: 205297935
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში №707217057

მიმწოდებელი:
სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია
ს/კ 206348987
მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №10
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა,
ბანკის კოდი TRESGE22
მიმღების ანგარიში № 707967150

დირექტორი
მიხეილ ხმალაძე

დირექტორი
ტარიელ ჭულუხაძე

LEPL-THE ACADEMY OF THE MINISTRY OF FINANCE
Digitally signed by LEPL-THE ACADEMY OF THE MINISTRY OF FINANCE
Date: 2019.02.06 17:16:31 +04'00'